ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/13350938-16 24 01 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ქერჩის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ.№19/089) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოსამრეცხაო) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №58400 23.02.2012წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ქერჩის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ.№19/089) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-დ“ და „დ-ა“ ფასადებზე გაუქმებულია ჟალუზის კარები. „დ-გ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ანტენა. „1-1“ და „12-12“ ღერძებს შორის კოლონების მდებარეობა არ ემთხვევა საპროექტოს , ასევე ფასადებზე პროფილირებული ფენილები შემცირებულია სიგანეში 0,50მ-ით.

შენობა ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს პროექტში ნაჩვენებზე მეტად.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 103[1]-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „თბილ ლაინი“-ს, დავით ნიკოლაიშვილს ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ქერჩის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ.№19/089) არსებული შენობა-ნაგებობის (ავტოსამრეცხაო) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/13350938-16 30.12.2013წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე გ. მუჯირიშვილი